

Error in persona (vel objecto)

Als „Error in persona“ wird im **deutschen** und **georgischen Recht** der Irrtum (nur) über die Identität des vom Täter anvisierten Opfers bezeichnet. Kennzeichnend für diese Irrtumskonstellation ist, dass der tatbestandliche Erfolg bei der vom Täter im Handlungszeitpunkt konkret anvisierten Person eintritt, diese Person aber nicht die ist, für welche der Täter sie gehalten hat (Bsp.: Wenn A den B von hinten mit der Schaufel in der Vorstellung niederschlägt, es handele sich um C, hat sich der Vorsatz des A auf die unmittelbar vor ihm befindliche Person – den B – konkretisiert). Diese Art der Konkretisierung genügt zur Bejahung von Vorsatz. Umgekehrt ausgedrückt: Der bloße Identitätsirrtum ist unbeachtlich und ändert am Vorliegen von Vorsatz hinsichtlich des getroffenen Objekts nichts. Dies gilt auch für Fehlvorstellungen in Bezug auf Sachen (Bsp.: A zerstört die Reifen am Auto des B in der Vorstellung, es handele sich um das Auto des C). Vorausgesetzt ist danach stets, dass sich die Fehlvorstellung auf tatbestandlich gleichwertige Objekte bezieht. Herleiten lässt sich die Unbeachtlichkeit der Fehlvorstellung auch unter Heranziehung des § 16 Abs. 1 S. 1 dStGB. Danach handelt „nicht vorsätzlich [...], wer bei Begehung der Tat einen Umstand nicht kennt, der zum gesetzlichen Tatbestand gehört“. Die in Rede stehenden Tatbestände des Besonderen Teils (insb. Körperverletzungs- und Tötungsdelikte) setzen aber als „gesetzlichen Umstand“ lediglich eine andere Person (als Tatopfer) voraus – ungeachtet ihrer Identität. Das bedeutet auch, dass einzig eine Vollendungsstrafbarkeit hinsichtlich des tatsächlich getroffenen Objekts in Betracht kommt. Diese „verbraucht“ den Vorsatz und schließt eine (weitere) Strafbarkeit wegen Versuchs hinsichtlich des eigentlich gewollten Objekts aus. (Abe/Tbe)

შეცდომა პიროვნებაში

გერმანულ და ქართულ კანონმდებლობაში „შეცდომა პიროვნებაში“ აღნიშნავს ამსრულებლის შეცდომას (მხოლოდ) მსხვერპლის ვინაობასთან მიმართებით. ამ შეცდომის სახისთვის დამახასიათებელია ის, რომ ფაქტობრივი შედეგი დგება იმ პირთან მიმართებით, რომელიც კონკრეტულად იყო მიზანში ამოღებული ამსრულებლის მიერ ქმედების განხორციელების მომენტში, თუმცა ეს ადამიანი არ იყო ის, ვინც დამნაშავეს ეგონა (მაგ.: თუ A ურტყამს B-ს უკნიდან ნიჩაბს, რადგან ჰგონია, რომ B არის C, A-ს განზრახვა დაკონკრეტებულია უშუალოდ მის წინ მყოფ პირზე – B-ზე). ამ ტიპის სპეციფიკაცია საკმარისია განზრახვის დასადასტურებლად. სხვაგვარად რომ ვთქვათ: იდენტიფიცირებისას უბრალო შეცდომა არარელევანტურია და არ ცვლის განზრახვის არსებობას დარტყმის ობიექტთან მიმართებაში. ეს ასევე ეხება მცდარ წარმოდგენებს სხვადასხვა ობიექტების შესახებაც (მაგ.: A უჭრის საბურავებს B-ს მანქანას იმ წარმოდგენით, რომ ეს არის C-ს მანქანა). სავალდებულო წინაპირობაა, რომ მცდარი წარმოდგენა ეხებოდეს თანაბარდირებულ ობიექტებს. მცდარი წარმოდგენის არარელევანტურობა ასევე შეიძლება დადგინდეს გსსკ-ის მე-16 პარაგრაფის 1-ელი

Deutsch-Georgisches digitales strafrechtliches Glossar
გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ციფრული გლოსარი

ნაწილის 1-ელი წინადადების მიხედვით „განზრახვის გარეშე მოქმედებს ის, ვინც ქმედების ჩადენისას არ იცის ქმედების დანაშაულებრივი ხასიათის შემადგენელი გარემოების შესახებ“. ხოლო, კერძო ნაწილში (განსაკუთრებით სხეულის დაზიანება და მკვლელობა) განსახილველი დანაშაულების „სამართლებრივ გარემოებად“ მიიჩნევა სხვა პირიც (როგორც დაზარალებული) – განურჩევლად მისი ვინაობისა. ეს ნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული შეცდომის შემთხვევაში, რეალურად დაზარალებულ პირთან მიმართებაში, ამსრულებლის დასჯადობა მხოლოდ დამთავრებული დანაშაულისთვის უნდა დადგეს, აქ მოაზრებულია განზრახვაც და გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მცდელობისთვის რეალურად განზრახული ობიექტის მიმართ. (Abe/Tbe)